შპს “ლილეო”

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
ქ.თბილისი, ქუჩა მაჩაბელი №8/13
საკადასტრო კოდი №01.15.05.074.008

27/01/2020

კონსტრუქტორი: ა. ყურაშვილი

შინაარსი

I განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. სამშენებლო პირობების დახასიათება
3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები
4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია
5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
6. ხანგრძლივობის დადგენა
7. უსაფრთხოების ტექნიკა
8. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

III გამოყენებული ლიტერატურა

IV მშენებლობის წარმოების გრაფიკი

ბრაფიკული ნაწილი (მ.ო.პ.-3; მ.ო.პ.-4)

I განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

– დავალება პროექტირებაზე;

– პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები;

– რაიონის სიტუაციური გეგმა;

- გეოდეზიური გეგმები და პროფილები;

- გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

ბ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარსშეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტის ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. მშენებლობის პირობების დახასიათება

სამშენებლო ობიექტის გამიზნული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, მაჩაბლის ქუჩა №8/13-ში. ტერიტორია წარმოადგენს მართკუთხა ფორმის ნაკვეთს, საკადასტრო კოდით 01.15.05.074.008 (1721 კვ.მ) იგი ხასიათდება ქვიშა ქვებისა და არგილიტების მორიგეობით დაფარული დელუვიურ-პროლუვიური ქანებით, უბანზე გავრცელებულია მიწისქვეშა წყლები, თუმცა ლაბორატორიული მაჩვენებლების მიხედვით ფუძე-საძირკვლებზე არ ვლინდება.

არსებულ მოედანზე უნდა მოხდეს შენობა საკ. ნუმერაციით 01/2 და 02/1-ზე დაშენება. რსებული მდგომარეობის მიხედვით, ხდება სხვენსართულზე არსებული გადახურვის კოჭების ჩახსნა და ერთიან ფართზე სრული სართულის მოწყობა.

დაშენების კონსტრუქციული სქემა გაანგარიშებულია ლითონ კონსტრუქციების მეშვეობით.

გეოლოგიური ზოგადი მონაცემებით არსებულ შანზე გავრცელებულია ერთი შენა მუქი ყავისფერი მტვეროვანი თიხნარები, ნახევრად მყარი კონსისტენციის, ღორღისა და ხვინჭის 25-35%-მდე მინარევით.

3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

სარეკონსტრუქციო შენობა წარმოადგენს ორ სართულიან მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, რომელსაც გააჩნია სარდაფის სართული. სარეკონსტრუქციო შენობა 01/2 და 02/1 რაზეც ხორციელდება დაშენება აშენებულია აბურის სქელკვეთიანი კედლების წყობით. ზიდი კედლების თავზე ეწყობა ჩასაყოლებელი დეტალები, რაზეც მაბრდება ლითონის სვეტები, კარკასი სრულად გაანგარიშებულია ლითონ კონსტრუქციებში.

რსებული შენობის მზიდი ელემენტები განხორციელებულია შემდეგი კონსტრუქციებისგან:

საძრიკვლები - ლენტური (ქორე-ქვებისა და აბურის კომბინაციით);

კედლები -წითელი აბური;

სართულშუა გადახურვები და სახურვის კონსტრუქცია -ხის კოჭები;

4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა) სამშენებლო ორგანიზაცია- გულსიხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით სნ და წ 3.01.01 – 85 №1 და №2 დებულებების მიხედვით.

ბ) სამშენებლო სამუშაოების დაწყების წინ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტებთან ერთად სრულდება ტოპო– გეოდეზიური სამუშაოები შენობის მიბმითა და ღერძების დაკვალვით.

გ) სამშენებლო – სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოების და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.

5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

1. მოსამზადებელი სამუშაოები:

მოსამზადებელი სამუშაოებით იწყება სამშენებლო ციკლი

– არსებული სახურავის ხის კოჭების ჩახსა;

– ლით. ჩასაყოლებელი დეტალების მოწყობა;

– ლითონის სვეტების მოწყობა;

– შემკრავი კოჭების მოწყობა;

– გადახურვის მოწყობა

– კედლების მოწყობა

– მოსაპირკეთებელი სამუშაოები

– სამშენებლო ნაბავის გადამოძრა დაუშვებელია, განხორციელდეს მისი ჩამოძრა სპეც მილებში.

– სამშენებლო ნაგვის გატანა მოედნიდან.

ვინაიდან შენობა მზიდ კედლიანია და შენობის მდებარეობის გამო არ არის მიზანშეწონილი სამშენებლო მასალის ასატანად ებრეთ წოდებული “პიონერი”-ს მონტაჟი, სამუშაოები უნდა წარმართოს ხელით და გამოყენებულ იქნას მხოლოდ ებრეტ წოდებული ელექტრო ჯალამბარი.

ა) სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ცხრილში ჩამოთვლილი (II თავი) მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

6. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

სამშენებლო ხანგრძლივობისა და სამუშაოების წარმართვის თავსლსაზრისით პროექტის მიხედვით ხდება დაშენება. არქიტექტურულ – მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით საშუალო კატეგორიისაა.

მშენებელობის ხანგრძლივობას ვადგენთ **T**=24 თვეს

7 უსაფრთხოების ტექნიკა

ა) უცხო პირთა, აბრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა მომსახურეთა ყოფნა დაუშვებელია.

ბ) მუშა – მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.

გ) სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, – მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.

დ) მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III – 4 – 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ – საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურიბის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

2. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აბრეთვე მომწამლავი ნივთიერებების ღღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოზე წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე ღღიური რაოდენობების მოთხოვნილებების შესაბამისობას.

3. დემონტირებული ხის მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი გაშანტვა და მოცურება არ მოხდეს სახურავიდან

4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

5. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

ა) სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაიშვება ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ) სამშენებლო სამუშაოების დამთავრების პერიოდში სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხვდეს მტვრის გაბნევა და სელიტებულ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ნაგავ გამტარებით. ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტო თვითმცლელი მანქანების ძარებში.

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდ.ცალი
1	თვითმცლელი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშ. ნაგვის გასატანად		1
3	ელექტრო ხერხი ხის მასალების დასაჭრელად	ს-697	2
4	ელ. შესადუღებელი აპარატი	კომპ.	1
5	ჯალამბარი		1
6	ანევმატური ინსტრუმენტი: საბურღი და სხვა		
7	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები;		
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა–დანადგარები, კერძოდ ამწე მექანიზმის მონტაჟი ადგილზე არ საჭიროებს			

კონსტრუქტორი: ა. ყურაშვილი



III გამოყენებული ლიტერატურა

СН И П III -4-80	Техника безопасности в строительстве
СН И П 3-02-01-87	Земляные сооружения
СН И П 1-04-03-85	Нормы проолжительности строительства и задела в строительстве предприатий зданий и сооружений
СН И П 3-01-01-85	Организация строительного производства
СН И П РН-73	Расчетные нормативы

კალენდარული გრაფიკი 3 თვეზე

სამუშაოების ჩამონათვალი	1			2			3		
	10	20	30	10	20	30	10	20	30
ტერასის მოაჯირების მოწყობა									
ხის აივნების დასრულება									
ტერიტორიის კეთილმოწყობა									
სამუშაოების დასრულება, სამშენებლო ნარჩენების გატანა									



PRIME STUDIO	საქართველო, ქ. თბილისი ვალერი თოფურიძის II შესახვევი №1	პროექტის სტატუსი: კალენდარული გრაფიკი შემსრულებელი: პ.ამაღლობელი	კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი: ფურცელი 1 / A3